



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების
განცხადება

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილია სამთავრობო რეორგანიზაცია. მათ შორის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო მმართველობითი ინსტიტუციის, გაუქმება და მისი ფუნქციების სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებზე გადანაწილება და ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკის ფარგლებში საქართველო აღებული აქვს ვალდებულება, მოახდინოს გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

გამორიცხულია ამ ვალდებულების სათანადო შესრულება, თუ სახელმწიფოში არ იარსებებს ამ ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული, ერთი დამოუკიდებელი სამთავრობო ინსტიტუცია. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გაუქმება და მისი ფუნქციების სხვა უწყებებზე გადანაწილება, ამ ფუნქციების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელს გახდის მათი მხრიდან ამ ვალდებულების სრულ და განუხრელ შესრულებას.

ამ რეფორმით მოხდება გარემოს ინტერესების ნიველირება და გარემოსდაცვითი პოლიტიკის უწყებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, რაც თავის მხრივ ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს და კიდევ უფრო დაამძიმებს საქართველოში გარემოსდაცვით უკვე არსებულ კატასტროფულ მდგომარეობას.

ამ ნაბიჯით, საქართველოს მთავრობა ფაქტიურად უარს ამბობს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტზე, უარს ამბობს განვითარების ევროპულ გზაზე და წინააღმდეგობაში შედის ევროკავშირის კანონმდებლობასთან.